ხელშეკრულება №77

ქ. თბილისი „ 13 " ოქტომბერი 2017 წ.

ერთი ერთის მხრივ ააიპ საფეხბურთო კლუბი ცხინვალის ,,ცხინვალი" (შემდგომში,,შემსყიდველი''), წარმოდგენლი მისი გენერალური დირექტორი გივი ქვრივიშვილის სახით, (შემდგომში„შემსყიდველი"), და მეორე მხრივ შპს „ბიბი" , მისი დირექტორის ნიკოლოზ ცერცვაძის სახით, (შემდგომში „მიმწოდებელი" „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 პრიმა მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ"ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს SMP170002380 თანხმობის საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი:** ააიპ საფეხბურთო კლუბი ცხინვალის „ ცხინვალი"-ს ჭაბუკთა U-19 გუნდის ფეხბურთელებისა და პერსონალის (სასადილოს ტიპის) კვებითი მომსახურება(სასადილოების მომსახურება cpv -55510000) დანართი №1 და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2. **ხელშეკრულების ღირებულება**

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 796 (შვიდასოთხმოცდათექვსმეტი)ლარს და 43 თეთრს დ.ღ.გ ჩათვლით.

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მისაწოდებელი მომსახურების ღირებულებას და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. შესყიდვის ობიექტის მოქმედების ვადა და ადგილი

3.1 მომსახურების მიწოდების ადგილია ზესტაფონის რ-ნი სოფ. ძირულა

3.2 მიმწოდებელი მომსახურებას უზრუნველყოფს 2017 წლის 16 ოქტომბერს.

3.3 ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2017 წლის 16 ნოემბრამდე.

4.საქონლის მიღება–ჩაბარების წესი

4.1 მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის შესაბამისი მიღება– ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2 „შემსყიდველის" მხრიდან მიღება–ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება-ტექნიკურ დირექტორს დავით ცაბაძეს.

5.ანგარიშსწორება

5.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.

5.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიღება–ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის საფუძველზე

5.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო თვის 15 რიცხვამდე.

6.მხარეთა უფლება–მოვალეობანი

6.1 ''შემსყიდველი'' უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს ''მიმწოდებლის'' მიერ ნაკისრ ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

6.2 შემსყიდველი'' ვალდებულია უზრუნველყოს ''მიმწოდებლის'' შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

6.3 ,,მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობრბის დაცვით

6.4. ,,მიმწოდებელი'' ვალდებულია შესყიდვის ობიექტი მიაწოდოს სათანადო ხარისხითა და გარანტიით და სრული მოცულობით ზემოთაღნიშნული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად

6.5 თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ა) შესყიდვის ობიექტი მიაწოდოს სათანადო ხარისხითა და გარანტიით და სრული მოცულობით ზემოთაღნიშნული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

6.6 თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები

7. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება), რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელების დროს. ინსპექტირებას განახორციელებს ''შემსყიდველის'' მიერ შესაბამისად განსაზღვრული პირი - კლუბის ფინანსისტი ირმა ნიქაბაძე.

7.2 ინსპექტირების შედეგად ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფრხვევასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ''მიმწოდებელს'' საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ს შემთხვევაში, მხარესს ეკისრებათ პირგასამტეხლო სახელშეკრულებლო ღირებულების 0,2%–ის ოდენობით.

პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულების შესრულებისგან

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომლთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა

მხარემ 5(ხუთი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს ტავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
9.2 იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცხვლილებების შეტანის (შეთანხმების გზით).

10.ხელშეკრულბეაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები"შემსყიდველისათვის",გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულებების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველსო კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია 10% მეტი ოდენობით.
10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
10.5 მხარე ვალდებულია 9.2 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოთ მეორე მხარეს.
10.6 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე.

11. ფორს-მაჟორი

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზგვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხიმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვეაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
11.2 თუ ერთ-ერთი მხარე ფორს-მაჟორული მდგომარეობის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან / და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაბამისი მხარე არ გატავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული მდგომარეობის მოქმედების დასრულების თანავე.

12.დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრლი ყველა უთანხმოება და დავა გადაიჭრება ურთიერთ შეთანხმების გზით. შეთანხმების მიურწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანოონმდებლობის შესაბამისად.

13.სხვა პირობები

13.1 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად , რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს , ხოლო ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს.

შემსყიდველი ორგანიზაცია :
ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი ცხინვალის „ცხინვალი"
მის. ქ. თბილისი, ქავთარაძის #21
ტელ : 571 50 30 56
სახელმწიფო ხაზინა
ს/კ 218 073 741

კლუბის გენერალური დირექტორი
გივი ქვრივიშვილი

მიმწოდებელი:
შპს „ბიბი"
მის: ზესტაფონის რ-ნი სოფ. ძირულა
ტელ: 558 11 19 42
სს,, საქართველოს ბანკი "
ს/კ 402022164
ა/ა GE35BG0000000580192100
ბ/კ BAGAGE22
შპს „ბიბი" -ს დირექტორი
ნიკოლოზ ცერცვაძე

ფასების ცხრილი **დანართი №1**

დასახელება	მახასიათებელი	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
ერთჯერადი საუზმის კვებითი მომსახურება 25 კაცისთვის	ყველი ნაკლებად მარილიანი (მინიმუმ 350გრ)	11 ულუფა	5	55
	ჩაი ან ყავა (მოთხოვნის შესაბამისად)	25 ცალი	1	25
	ბანანი	25 ცალი	2	50
	კომპოტი	25 ცალი	2	50
	სასმელი წყალი 0,5 ლიტრი	25 ცალი	1	25
	მოხარშული მაკარონი (სპაგეტი)	25 ულუფა	1	25
	მოხარშული ქათამის ფილე 200გრ	25 ულუფა	4	100
	შოთის პური	15 ცალი	1	15
მომსახურების 5 %		17,25		
ჯამი		**362,25**		

დასახელება	მახასიათებელი	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
ერთჯერადი სადილის კვებითი მომსახურება 25 კაცისთვის	ყველი ნაკლებად მარილიანი (მინიმუმ 350გრ)	11 ულუფა	5	55
	კიტრი და პომიდორი მწვანილით (მინიმუმ 550გრ)	11 ულუფა	5	55
	ქათამი შემწვარი (მინიმუმ 500გრ)	7 ულუფა	17	119
	კარტოფილი შემწვარი (მინიმუმ 250გრ)	7 ულუფა	4	28
	იმერული ხაჭაპური (მინიმუმ 800გრ. 6 ნაჭერი)	9 ცალი	5	45
	ოსტრი (მინიმუმ 500გრ)	7 ულუფა	7	49
	ტყემალი (მინიმუმ 100გრ)	5 ულუფა	1	5
	შოთის პური	15 ცალი	1	15
	ლიმონათი 0,5 ლიტრი	20 ბოთლი	1,5	35
	გაზიანი სასმელი (ბორჯომი) 0,5ლიტრი	5 ბოთლი	1,5	7,5
მომსახურების 5 %		20,68		
ჯამი		**434,18**		

კლუბის გენერალური დირექტორი
გივი ქვრივიშვილი

შპს „ბიბი“-ს დირექტორი
ნივოლოზ ცერცვაძე